საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/109

ქ. ბათუმი 01 სექტემბერი, 2020 წ.

ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID -19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების აღსრულებისათვის დამატებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების, ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების (ამავე ბრძანების N16 დანართი -,,..ზოგადი რეკომენდაციები სასტუმროებისათვის"), **,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების,** „საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" **საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის №321 დადგენილების** და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" **საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების** (ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 აგვისტოს N546 დადგენილებით შეტანილი ცვლილების) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენციის(**MES5200000756505, 01/09/2020)** საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID -19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესრულების მიზნით დამტკიცდეს თანდართული **დამატებითი სამოქმედო გეგმა (დანართი 1).**
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული რეკომენდაციებისა და წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დამატებითი სამოქმედო გეგმის აღსრულებისათვის განისაზღვროს შემდეგი **პასუხისმგებელი პირები:**

1.1. **ფაკულტეტის დეკანი** - შესაბამისი ფაკულტეტის **სასწავლო პროცესის/პრაქტიკული** და **ლაბორატორიული მეცადინეობების/ კლინიკურ დისციპლინებში სწავლებისათვის** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების **სამოქმედო გეგმის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული **,,დამატებითი სამოქმედო გეგმის"** მიხედვით წარმართვაზე (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი აქტივობის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის მატერიალური რესურსის თაობაზე წერილობითი მოთხოვნის წარდგენაზე);

1.2. **ბსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი** - ბსუ-ს პერსონალის, სტუდენტთა და სხვა პირთა ბსუ-ში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღაბი, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარი/დამცავი სათვალე) და უსაფრთხო დისტანციის დაცვით დაშვებაზე, ბსუ-ს შესასვლელთან თერმოსკრინინგის განხორციელებაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ,,დამატებითი სამოქმედო გეგმის" კომპეტენციის ფარგლებში აღსრულებისათვის;

1.3. **ბსუ-ს სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი (ექიმი)** - ბსუ-ს პერსონალის, სტუდენტისა და სხვა პირების (ვიზიტორების) ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობაზე და სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის ფუნქციონირებაზე;

1.4.**დასუფთავების განყოფილების უფროსი** - უნივერსიტეტის საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიურ დეზინფექციაზე, სანიტარული წერტილების პერიოდულ დეზინფექციაზე, სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით) სანიტარულ დამუშავებაზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ,,დამატებითი სამოქმედო გეგმის" კომპეტენციის ფარგლებში აღსრულებაზე;

1.5. **უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მენეჯერი** - საერთო/საცხოვრებლის (კამპუსის) „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე"

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №16 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19)დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სასტუმროებისთვის“ შესაბამისად ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე;

1.6. **ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:**

ა) უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ფართში (ყველა მისამართზე), ცხელების/რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევისთვის სპეციალური საიზოლაციო ოთახის გამოყოფისა და მისი აღჭურვისათვის წინადადებების წარმოდგენაზე;

ბ) გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი, ბსუ-ს საწყობში არსებული კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით) სასწავლო აუდიტორიების, ადმინისტრაციული სათავსებისა და საერთო სარგებლობის ფართების აღჭურვაზე;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა კორპუსების შესასვლელებში დეზობარიერის (მისი გამოყენების შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით), ასევე თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის განთავსებაზე;

დ) უნივერსიტეტში პირბადეების რეზერვის არსებობაზე, უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცი) უზრუნველყოფაზე, ასევე სამუშაო ადგილებზე განსათავსებლად ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებების საჭირო რაოდენობის შესახებ სამსახურებრივი ბარათის შედგენაზე და ასეთი მარაგის შექმნის შემდეგ უნივერსიტეტის საწყობიდან განკარგვაზე (ფართების აღჭურვაზე);

ე) პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, დეპარტამენტის შესაბამისი პერსონალის **(კორპუსის ადმინისტრატორების)** მიერ სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაციის უზრუნველყოფაზე;

ვ) სამედიცინო კაბინეტის (საიზოლაციო ოთახის) ფუნქციონირებაზე, ასევე ბსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების, დასუფთავების განყოფილების და უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მენეჯერის პასუხისმგებლობის სფეროში შემავალი ფუნქციების შესრულების კონტროლზე;

ზ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ,,დამატებითი კომპეტენციის ფარგლებში აღსრულებისათვის.

1.7. **ბსუ-ს საგამოცდო ცენტრის უფროსი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **რეკომენდაციების**, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების **სამოქმედო გეგმის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული **,,დამატებითი სამოქმედო გეგმის"** კომპეტენციის ფარგლებში აღსრულებისათვის.

1.8. **ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **რეკომენდაციების**, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების **სამოქმედო გეგმის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული **,,დამატებითი სამოქმედო გეგმის"** კომპეტენციის ფარგლებში აღსრულებისათვის.

2. **რექტორის მოადგილემ** (თ. სირაძე) უზრუნველყოს ფაკულტეტების მიერ საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული აქტივობების წინამდებარე ბრძანების შესაბამისად შესრულების კონტროლი.
3. **ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა** უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ აქტივობებზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ შესრულების კონტროლი.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის **2020 წლის 1 სექტემბრის**
N01-02/109 ბრძანების
დანართი 1

ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID -19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესრულების მიზნით განსახორციელებელი **დამატებითი სამოქმედო გეგმა**

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1. წინამდებარე **დამატებითი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია** საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდეგში ,,მინისტრი") მიერ გაცემული ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID -19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ბსუ ან უნივერსიტეტი) შესრულების მიზნით.
2. წინამდებარე **დამატებითი სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) საქმიანობის/ფუნქციონირების პროცესში შემდეგი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესრულებას:

ა) „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" **საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება;**

ბ) „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდეგში ,,მინისტრი") **2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №16 დანართი** „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სასტუმროებისთვის";

გ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" **მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანება;**

მუხლი 2. ძირითადი რეკომენდაციები

1. ბსუ-ში სტუდენტთა, პერსონალისა და სხვა პირთა დაშვება უნდა მოხდეს უსაფრთხო დისტანციის დაცვით. შესასვლელთან უნდა განხორციელდეს თერმოსკრინინგი, რათა გაკონტროლდეს ყოველი შემომსვლელის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით.
2. ბსუ-ში სტუდენტთა, პერსონალისა და სხვა პირთა დაშვება უნდა მოხდეს მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღაბი, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარი/დამცავი სათვალე).
3. ბსუ-ში სტუდენტთა, პერსონალისა და ვიზიტორთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის მიზნით ბსუ-ში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის ფუნქციონირება.
4. უნივერსიტეტში ცხელების/რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირებისას შესაბამისი პირი გადაყვანილი უნდა იქნეს სპეციალურ საიზოლაციო ოთახში, სადაც მოხდება პირის დროებითი დაყოვნება საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის, სასწრაფო დახმარების მოსვლამდე.
5. საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული **ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:** უზრუნველყოფილი იყოს ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაციით; აღჭურვილი იყოს დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი); ხელმისაწვდომი იყოს ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი, ნიჟარა და თხევადი საპონი, ან ხელის სანიტაიზერი; ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით.
6. უნივერსიტეტის სივრცეში პერსონალმა და სტუდენტებმა სავალდებულოა შეასრულოონ შემდეგი რეკომენდაციები:

ა) გამოყენებული იქნეს სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

ბ) დაიცვან ჰიგიენის წესები, ჩაიტარონ ხელების ადეკვატური ჰიგიენა (სულ მცირე 70% სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას სავალდებულოა ხელების წყლითა და საპნით დაბანა);

გ) მოერიდონ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყონ თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

7. უნივერსიტეტის (სასადილოს ფუნქციონირების შემთხვევაში - სასადილოს შესასვლელშიც) განთავსებული უნდა იყოს დეზობარიერი, გამოყენების შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით.
8. უნივერსიტეტის შენობის შესასვლელში, ასევე სართულებზე/ფაკულტეტების/სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების/ადმინისტრაციასთან და ბიბლიოთეკის

შესასვლელებში, თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

9. სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვილი უნდა იქნეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკი ამოღებული უნდა იქნეს და განიკარგოს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით (ასეთი ნარჩენების დროული გატანა უნდა მოხდეს შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ).

10. ბსუ-ს პერსონალი და სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცი).

11. სამუშაო ადგილებზე განთავსებული უნდა იქნეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყოფილი იქნეს მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა **(შესაბამისი წესი/წერილობითი ინფორმაცია** სტუდენტებისა და პერსონალისთვის გასაცნობად/ინფორმირებისათვის უნდა გამოქვეყნდეს თვალსაჩინო ადგილებზე, გარდა ამისა, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ,,დამატებითი სამოქმედო გეგმა" და ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანებით დამტკიცებული ,,**სამოქმედო გეგმა" (ხელახლა) უნდა დაეგზავნოს ბსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებს, ბსუ-ს პორტალის მეშვეობით).**

12. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის პერსონალმა (კორპუსის ადმინისტრატორებმა) უნდა უზრუნველყონ, რათა მოხდეს სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია.

13. დასუფთავსების განყოფილებმა უნდა უზრუნველყოს საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური დეზინფექცია, სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით), ასევე სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია (აღნიშნული ქმედებების აღრიცხვის მიზნით განყოფილებამ აწარმოოს უნდა შესაბამისი ჟურნალი, დეზინფექციის ჩატარების დროის, თარიღის, შემსრულებელი პირის, განყოფილების უფროსის/ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერის დადასტურებით).

14. დასუფთავსების განყოფილებმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული

ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით.

15. უნივერსიტეტის საერთო/საცხოვრებლის (კამპუსის) ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №16 დანართის** „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სასტუმროებისთვის“ შესაბამისად.

16. **უნივერსიტეტი ვალდებულია** სასწავლებლის ტერიტორიაზე გასაწევი ეკონომიკური საქმიანობის (კვებით მომსახურება, არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება და სხვა) განმახორციელებელ პირს მოსთხოვოს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების მოთხოვნათა უზრუნველყოფა.

მუხლი 3. უნივერსიტეტის სივრცეში გადაადგილება

1. თერმოსკრინინგის ჩასატარებლად გამოყენებული იქნეს უნივერსიტეტის შენობის გარე პერიმეტრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში; გარე პერიმეტრად შესაძლებელია განხილულ იქნეს - შესასვლელი, ეზო, შენობის მიმდებარე ღია სივრცეში განთავსებული ტერიტორია).

2. პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს **არანაკლებ 1- მეტრიან დისტანციას;**

3. შენობაში შესვლა დასაშვებია მხოლოდ პირბადით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დამცავი ფარი/დამცავი სათვალე, ბახილი, ხალათი).

4. თერმოსკრინინგისას ცხელების - 37^{0}C ან 37^{0}C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15-წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში (ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ).

5. ტემპერატურის გადამოწმების შემდეგ 37^{0}C ან 37^{0}C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:

ა) პირი არ დაიშვება დაწესებულებაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
ბ) სტუდენტის/პერსონალის დროებითი დაყოვნება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) უნდა მოხდეს საიზოლაციო ოთახში;
გ) საჭიროების დროს უნდა მოხდეს დაკავშირება 112-ზე, შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
დ) დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში (დამტკიცებული ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანებით).

მუხლი 4. სავალდებულო დისტანცია საგანმანათლებლო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში

1. სასწავლო აუდიტორიებში მაგიდების/მერხების განლაგება, მიზანშეწონილია, მოხდეს იმგვარად, რომ სტუდენტები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ (სტუდენტებს) შორის უზრუნველყოფილი იყოს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" **საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322** დადგენილებით განსაზღვრული დისტანციის დაცვა.
2. მაგიდების პირისპირ განლაგების აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს მაგიდებს შორის **არანაკლებ 2 მ-იანი დისტანცია.**
3. ლექციის/სემინარის დროს პედაგოგს (როგორც სპიკერს) უნდა ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და სტუდენტებს შორის შეუძლებელია **2 მეტრიანი დისტანციის** დაცვა (ამ წესის საილუსტრაციოდ, სასწავლო აუდიტორიებში აუცილებელია შესაბამისი სტიკერებით მოინიშნოს უსაფრთხო დისტანციის განმსაზღვრელი ადგილები (**პასუხისმგებელი პირები:** სტიკერების განთავსებაზე მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი/კორპუსის ადმინისტრატორები, სტიკერის განთავსების ადგილის შერჩევაზე - სასწავლო პროცესის მიმართულებით რექტორის მოადგილის (თ. სირაძის) მიერ განსაზღვრული პირი)

მუხლი 5. ვალდებულებები სასწავლო სივრცეებისთვის:

1. საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებლი პირები სამუშაო ადგილას უნდა გამოცხადნენ წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით.

2. პერსონალი და სტუდენტები მაგიდებთან არ უნდა დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ.

3. სამუშაო სივრცეში/აუდიტორიებში ინტენსიურად უნდა იქნეს გამოყენებული ბუნებრივი ვენტილაცია.

4. სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო, სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი, ხელის დასამუშავებელი ხსნარი უნდა განთავსდეს.

5. არ უნდა იქნეს დაშვებული სამუშაო სივრცეში პერსონალი და სტუდენტები, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარეშე, მათ შორის: ნიღაბი; ხელთათმანი; სახის დამცავი ფარი; საჭიროების შემთხვევაში, ბახილები; სპეც. ტანსაცმელი/ხალათი.

6. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოხდეს დასუფთავების განყოფილების მიერ, ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით, ხოლო ასეთი ნარჩენების დროული გატანა - შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

მუხლი 6. რეკომენდაციები კლინიკურ დისციპლინებში სწავლებისათვის

1. სტომატოლოგიურ კაბინეტებში პრაქტიკული სწავლებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სტუდენტთა ნაკადის დაყოფა ისე, რომ გამოირიცხოს მათი კრიტიკული რაოდენობის თავშეყრა კლინიკურ სივრცეში. ერთდროულად დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა კლინიკური სივრცის სპეციფიკისგან დამოკიდებულებით განისაზღვრება სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორთან.

2. *კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკული* მეცადინეობებისას გათვალისწინებულ უნდა იყოს კლინიკაში არსებული და სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული წესები და შეზღუდვები, რაც შესაძლოა შეეხებოდეს დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას სხვადასხვა რისკის პირობებში (მათ შორის, რისკის ზონების შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და უსაფრთხოების ღონისძიებებისადმი განსაზღვრული მოთხოვნები).

მუხლი 7. ვალდებულებები საგამოცდო ცენტრისთვის

1. მაგიდების განლაგებისას სტუდენტებს შორის 2 მეტრი დისტანციის შესაძლებლობა უნდა იყოს. სტუდენტები მაგიდებთან არ უნდა დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ.
2. საგამოცდო ცენტრში არ უნდა იქნეს დაშვებული პერსონალი და სტუდენტები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე.
3. საგამოცდო ცენტრში სტუდენტების მისაღებად გამოყენებული უნდა იქნეს ცვლებში მუშაობის რეჟიმი და ყოველი ცვლის შემდგომ - სანიტარული შესვენება.
4. უზრუნველყოფილი იქნეს საგამოცდო დარბაზის შესასვლელში ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება.
5. უზრუნველყოფილი იქნეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოხდეს დასუფთავების განყოფილების მიერ, ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით, ხოლო ასეთი ნარჩენების დროული გატანა - შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

მუხლი 8. ბიბლიოთეკის ფუნქციონირება

1. დაწესებულების ბიბლიოთეკის ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს „სამუშაო ადგილებზე, ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების № 36 დანართის შესაბამისად.